385
964/2.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 24 (257) 31 აგვისტო 1964 წელი

შინაარსი

ნაწილი I

განყოფილება პირველი

416. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სსრ კავშირში სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ“ კანონის 4 მუხლში ნაწილობრივი ცვლილებების შეტანის შესახებ.

417. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და იემენის არაბთა რესპუბლიკას შორის მეგობრობის ხელშეკრულების რატიფიკაციის შესახებ.

418. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა რუსეთის სფს რესპუბლიკის სამოქალაქო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსების მიღებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ.

განყოფილება მეორე

419. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საბჭოთა არმიის სამხედრო მოსამსახურეთა სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ.

420. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. კ. პროტოზანოვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

421. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა პროფესორ დ. ა. ბირიუკოვის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

422. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საბჭოთა კავშირის მარშალ ს. ს. ბირიუზოვის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

423. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ა. პ. კრილოვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

424. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა პროფესორ ნ. ჯ. კოლის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

425. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ ... პუბლიკაში მცხოვრები მრავალშვილიანი დედებისათვის „გმირი დედის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

426. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საბჭოთა კავშირის ფლოტის ადმირალ ი. ს. ისაკოვის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

427. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ლატვიის სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს ა. ი. კალნინშის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

428. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა პროფესორ ვ. ს. ერშოვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

429. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. გ. ბეზზუბიკის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში მომხდარ ცვლილებათა შესახებ.

ნაწილი II

განყოფილება მეორე

430. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა პროფესორ ა. ა. ძიძიგურისათვის საქართველოს სსრ მეცნირებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

431. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. მ. ლილუაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაწილი I

განყოფილება პირველი

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

416 „ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სსრ კავშირში სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ“ კანონის 4 მუხლში ნაწილობრივი ცვლილებების შეტანის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. „ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სსრ კავშირში სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ“ სსრ კავშირის 1958 წლის 24 დეკემბრის კანონის 4 მუხლის (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1959 წელი, № 1) ნაწილობრივ შესაცვლელად საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საწარმოო სწავლების შრომით პოლიტექნიკურ სკოლებში, რომლებიც არსებობენ რვაწლიანი სკოლის ბაზაზე, დაწესდეს სწავლების ორწლიანი ვადა ნაცვლად სამწლიანისა.

2. ეს ბრძანებულება დასამტკიცებლად წარედგინოს უმაღლეს საბჭოს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 10 აგვისტო.
№ 2772 ა-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

417 საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და იემენის არაბთა რესპუბლიკას შორის მეგობრობის ხელშეკრულების რატიფიკაციის შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული და სარატიფიკაციოდ წარმოდგენილი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის და იემენის არაბთა რესპუბლიკის მეგობრობის ხელშეკრულება, ხელმოწერილი მოსკოვში 1964 წლის 21 მარტს, **რატიფიცირებულ** იქნეს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 15 აგვისტო.
№ 2777-VI.

საქართველოს სსრ. სსკ. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა. ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

418 რუსეთის სფსრ რესპუბლიკის სამოქალაქო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსების მიღებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ

რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის სამოქალაქო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსების მიღებასთან დაკავშირებით, რაც მოხდა „მოკავშირე რესპუბლიკების სასამართლოთა მოწყობის კანონმდებლობის, სამოქალაქო, სისხლის სამართლისა და საპროცესო კოდექსების მიღების მოკავშირე რესპუბლიკების გამგებლობისათვის მიკუთვნების შესახებ“ სსრ კავშირის 1957 წლის 11 თებერვლის კანონისა და „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების დამტკიცების შესახებ“ და „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სასამართლო წარმოების საფუძვლების დამტკიცების შესახებ“ სსრ კავშირის 1961 წლის 8 დეკემბრის კანონების შესაბამისად, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

ჩაითვალოს ძალადაკარგულად რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის ტერიტორიაზე 1964 წლის 1 ოქტომბრიდან, ესე იგი რესპუბლიკის სამოქალაქო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსების შემოღების მომენტიდან, სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტები თანახმად დანართისა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიჟოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 21 აგვისტო.

№ 2797-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 21 აგვისტოს ბრძანებულებისა „რსფსრ სამოქალაქო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსების მიღებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ“
№ 2797-VI.

ნუსხა

სსრ კავშირის იმ საკანონმდებლო აქტებისა, რომლებმაც მთლიანად ან ნაწილობრივ დაკარგეს ძალა

1. სსრკ ცაკისა და სახკომსაბჭოს 1927 წლის 10 აგვისტოს დადგენილება „სახელმწიფო დაწესებულებისა და საწარმოს, კოოპერატიულ, პროფესიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ქონების გაფლანგვით, მისაკუთრებით და გატაცებით მიყენებული ზარალის ანაზღაურების წესის შესახებ“ (სსრკ კან. კრ., 1927 წ., № 51, მუხ. 507).

2. მუხლი 3 სსრკ ცაკისა და სახკომსაბჭოს 1928 წლის 16 მაისის დადგენილებისა „საავტორო უფლების საფუძვლების ახალი რედაქციით სამოქმედოდ შემოღების შესახებ“ (სსრკ კან. კრ., 1928 წ., № 27, მუხ. 245).

3. სსრკ ცაკისა და სახკომსაბჭოს 1928 წლის 16 მაისის დადგენილებით დამტკიცებული საავტორო უფლების საფუძვლები (სსრკ კან. კრ., 1928 წ., № 27, მუხ. 246), გარდა 15 მუხლისა.

4. სსრკ ცაკისა და სახკომსაბჭოს 1930 წლის 23 ნოემბრის დადგენილება „შემკვეთის უფლების შესახებ მისი შეკვეთით დამზადებული არქიტექტურული, საინჟინერო და სხვა ტექნიკურ გეგმებზე, ნახაზებზე და ნახატებზე“ (სსრკ კან. კრ., 1930 წ., № 58, მუხ. 613).

5. მუხლები 34 და 36 სსრკ ცაკისა და სახკომსაბჭოს 1937 წლის 17 ოქტომბრის დადგენილებისა „ქალაქებში საბინაო ფონდის შენარჩუნებისა და საბინაო მეურნეობის გაუმჯობესების შესახებ“ (სსრკ კან. კრ., 1937 წ., № 69, მუხ. 314).

6. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1945 წლის 14 მარტის ბრძანებულება „მემკვიდრეების შესახებ კანონისა და ანდერძის მიხედვით“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1945 წ., № 15).

7. მუხლი 1 სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 26 აგვისტოს ბრძანებულებისა „ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების ყიდვასა და მშენებლობაზე მოქალაქეთა უფლების შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1948 წელი, № 36) იმ დამატებით, რომელიც შეტანილია მასში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1958 წლის 18 ივლისის ბრძანებულებით (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1958 წ., № 16, მუხ. 284).

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. სსრ კავშირის 1958 წლის 25 დეკემბრის კანონი „იმის შესახებ, რომ დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების ყიდვასა და მშენებლობაზე მოქალაქეთა უფლების თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 26 აგვისტოს ბრძანებულების 1 მუხლში დამატების შეტანის შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1959 წ., № 1, მუხ. 24).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება მეორე

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

419 საბჭოთა არმიის სამხედრო მოსამსახურეთა სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ

სტიქიური უბედურების დროს ადამიანების და სახალხო ქონების გადასარჩენად გამოჩენილი ვაჟკაცობისა და მამაცობისათვის დაჯილდოვდნენ:

წითელი ვარსკვლავის ორდენით

1. კაპიტანი ნიკოლოზ ანდრიას ძე **ანისიმოვი.**
2. კაპიტანი ვიქტორ მიხეილის ძე **ბარინკინი.**
3. ეფრეიტორი პრანას ანტონის ძე **კატკაუსკასი.**
4. პოდპოლკოვნიკი პეტრე ივანეს ძე **კოზაჩენკო.**
5. ეფრეიტორი ვინცას სტანისლავის ძე **პოციუსი.**
6. ლეიტენანტი ვლადიმერ ალექსის ძე **ფილიმოშინი.**

მედლით „მამაცობისათვის"

1. რიგითი ოსვალდ ფრიცის ძე **ბალოდი.**
2. კაპიტანი ნიკოლოზ თევდორეს ძე **კალინაიჩევი.**
3. უმცროსი სერჟანტი სტასი სტასის ძე **კატილიუსი.**
4. უფროსი ტექნიკოს-ლეიტენანტი ვასილ ფილიპეს ძე **კუზემკო.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 12 აგვისტო.
№ 2774-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

420 ამხ. ა. კ. პროტოზანოვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით სკკპ ტიუმენის სამრეწველო ოლქკომის პირველი მდივანი ამხ. ალექსანდრე კონსტანტინეს ძე **პროტოზანოვი** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 14 აგვისტო.
№ 2776-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

421 პროფესორ დ. ა. ბირიუკოვის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა სამედიცინო მეცნიერების განვითარებაში დიდი დამსახურებისათვის და დაბადების სამოცწელთან დაკავშირებით პროფესორი დიმიტრი ანდრიას ძე **ბირიუკოვი** დაჯილდოვდეს **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიკოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. ბიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 19 აგვისტო.
№ 2783-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

422 საბჭოთა კავშირის მარშალ ს. ს. ბირიუზოვის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

სსრ კავშირის შეიარაღებული ძალებისა და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დიდი დამსახურებისათვის, დაბადების სამოცწელთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირის მარშალი სერგი სიმონის ძე **ბირიუზოვი** დაჯილდოვდეს **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიკოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. ბიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 20 აგვისტო.
№ 2784-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

423 სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ა. პ. კრილოვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

ნავთობის საბადოების დამუშავების მეცნიერული საფუძვლების განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების სამოცწელთან დაკავშირებით ნავთობ-გაზის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის დირექტორი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ალექსანდრე პეტრეს ძე **კრილოვი** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიკოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. ბიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 20 აგვისტო.
№ 2785-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

424 პროფესორ ნ. ჯ. კოლის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა არქიტექტურის განვითარების დარგში დიდი დამსახურებისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით პროფესორი, არქიტექტურის დოქტორი ნიკოლოზ ჯემსის ძე **კოლი** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიჭოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 20 აგვისტო.

№ 2786-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

425 საქართველოს სს რესპუბლიკაში მცხოვრები მრავალშვილიანი დედებისათვის „გმირი დედის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

მიენიჭოთ **„გმირი დედის“** საპატიო წოდება და გადაეცეთ **„გმირი დედის“** ორდენი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელი დედებს, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ათ-ათი შვილი:

1. ლარისა მიხეილის ასულ **აკოფოვას** — დიასახლისს, ქ. თბილისი.

2. ნაზიკ დავითის ასულ **აკოფიანს** — დიასახლისს, ახალქალაქის რაიონის სოფელი ბუღამენი.

3. შაშნე ბიდოს ასულ **ამიჩბას** — ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, აფხაზეთის ასსრ, ოჩამჩირის რაიონი.

4. თამარ ძუკუს ასულ **ბერიას** — კიროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, ცხაკაიას რაიონი.

5. ანაიტ მარტიროსის ასულ **ვერმიშიანს** — დიასახლისს, ბოლნისის რაიონის სოფელი ხოჯორნი.

6. გიზხანუმ ალაჰვერდი ყზი **გამბაროვას** — დიასახლისს, ბოლნისის რაიონის სოფელი საბირქენდი.

7. შოგაკატ პეტროსის ასულ **კრდტონიანს** — დიასახლისს, ახალქალაქის რაიონის სოფელი ეშტია.

8. ზარგალამ მამედ ყზი **მამედოვას** — დიასახლისს, ბოლნისის რაიონის სოფელი ქირაჩ-მუღანლო.

9. მინორა შაკეტის ასულ **ოტირბას** — კოლმეურნეობა „აპსნის“ წევრს, აფხაზეთის ასსრ, გუდაუთის რაიონი.

10. ვალია სუზარის ასულ **ფაჩულიას** — კოლმეურნეობა „ფოქვეშის“ წევრს, აფხაზეთის ასსრ, ოჩამჩირის რაიონი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

11. მაჰმუდ ყზი **ხაჯას** — დიასახლისს, საგარეჯოს რაიონის სოფელი ბორ-მუღანლო.

12. ყასუმ ყზი **ხანუმს** — დიასახლისს, საგარეჯოს რაიონის სოფელი იორ-მუღანლო.

13. ანასტასია ოდიკის ასულ **იუზბაშევას** — მუშას, ქ. თბილისი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 21 აგვისტო.
№ 2788-VI.

გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

426 საბჭოთა კავშირის ფლოტის ადმირალ ი. ს. ისაკოვის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირის ფლოტის ადმირალი ივანე სტეფანეს ძე **ისაკოვი** დაჯილდოვდეს **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 21 აგვისტო.
№ 2791-VI.

გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

427 ლატვიის სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს ა. ი. კალნინშის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

მერქნის ქიმიის განვითარებასა და მეცნიერული კადრების მომზადებაში თვალსაჩინო დამსახურებისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით ლატვიის სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი არვიდ ივანეს ძე **კალნინში** დაჯილდოვდეს **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 21 აგვისტო.
№ 2792-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

428 პროფესორ ვ. ს. ერშოვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

ჰელმინტოლოგიის მეცნიერების განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით პროფესორი ვლადიმერ სტეფანეს ძე **ერშოვი** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიკოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 24 აგვისტო.
№ 2802-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

429 ამხ. ვ. გ. ბეზზუბიკის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა ჯანმრთელობის დაცვის განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით ამხ. ვლადიმერ გრიგოლის ძე **ბეზზუბიკი** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიკოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 24 აგვისტო.
№ 2803-VI.

ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში მომხდარ ცვლილებათა შესახებ

რ ს ფ ს რ

რაიონების შექმნა

რუსეთის სფს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 6 აგვისტოს ბრძანებულებებით შექმნილია:

ხაბაროვსკის მხარეში — **ნანაელთა** სასოფლო რაიონი, რომლის ცენტრია მუშათა ახალშენი **ტროიცკოე;**

ირკუტსკის ოლქში — ჩუნსკის სამრეწველო რაიონი, რომლის ცენტრია მუშათა ახალშენი **ოქტიაბრსკი.**

ავამსკის სასოფლო რაიონის გაუქმება

რუსეთის სფს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 6 აგვისტოს ბრძანებულებით გაუქმებულია კრასნოიარსკის მხარის ტაიმირის (დოლგანო-ნენთა) ეროვნული ოკრუგის ავამსკის სასოფლო რაიონი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაწილი II

განყოფილება მეორე

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

430 პროფესორ ა. ა. ძიძიგურისათვის საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის დარგში დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წულუკიძის სახელობის სამთო მექანიკის, საბადოთა დამუშავების და აფეთქების ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორს პროფესორ არჩილ ამბროსის ძე **ძიძიგურს** მიენიჭოს **საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწის** საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1964 წლის 21 ავგისტო.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

431 ამხ. ბ. მ. ლილუაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით ზესტაფონის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. გიორგი მიხეილის ძე **ლილუაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1964 წლის 21 ავგისტო.

გამომცემლობა „იზვესტია“
მოსკოვი, ცენტრი, პუშკინის მოედანი, 5

დაიბეჭდა რუსულ ენაზე და იყიდება

სსრ კავშირის მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიის

სტენოგრაფიული ანგარიში

(1964 წლის 13-15 ივლისი)

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს გამოცემა

სტენოგრაფიული ანგარიშის დანართში ქვეყნდება კანონი სსრ კავშირისა კოლმეურნეობების წევრთა პენსიებისა და დახმარების შესახებ; კანონი სსრ კავშირისა განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, საბინაო-კომუნალური მეურნეობის, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების და სახალხო მეურნეობის სხვა იმ დარგების მუშაკებისათვის ხელფასის მომატების შესახებ, რომლებიც უშუალოდ ემსახურებიან მოსახლეობას; დადგენილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კომისიის შექმნის შესახებ, რომელიც შეიმუშავებს წინადადებებს, თუ რა წესითა და ოდენობით მოხდება გადარიცხვები კოლმეურნეობათა შემოსავლიდან კოლმეურნეთა სოციალური უზრუნველყოფის ცენტრალიზებულ საკავშირო ფონდში კოლმეურნეობების წევრთა პენსიებისა და დახმარების კანონის მიღებასთან დაკავშირებით; დადგენილებები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოვალეობისაგან ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის გათავისუფლების, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ ამხ. ა. ი. მიქოიანის არჩევისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის მოვალეობისაგან მისი გათავისუფლების შესახებ; კანონები სსრ კავშირისა და დადგენილებები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსი ბრძანებულებების დამტკიცების შესახებ, აგრეთვე პალატათა დადგენილებები.

წიგნის ფასი 80 კაპიკია.

იყიდება წიგნის მაღაზიებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა
ბიბლიოთეკა